



International Organization for Migration (IOM)

სახლში დაბრუნება IOM-ის
დახმარებით

გჭირდებათ დახმარება სახლში დაბრუნებისათვის?

- ▶ სამგზავრო დოკუმენტების მიღება
- ▶ უფასო მგზავრობა
- ▶ დამატებითი ბარგი
- ▶ დაბრუნების შემწეობა

დარეკეთ IOM-ის უფასო ტელეფონის ნომერზე

8 800 12 342

და მიიღეთ მეტი ინფორმაცია

კონსულტაცია ხელმისაწვდომია ლიტვურ, ინგლისურ და
რუსულ ენებზე.

ვინ ვართ ჩვენ?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) არის საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დაახლოებით 480-ზე მეტი ოფისი მთელ მსოფლიოში. IOM არ არის ლიტვის სამთავრობო სტრუქტურა.

IOM-ს სჯერა, რომ მართული მიგრაცია არის სასარგებლო როგორც მიგრანტებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის.

IOM მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელს უწყობს მიგრანტების უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას თავიანთი წარმომავლობის ქვეყნებში. 1997 წლიდან IOM-ის ვილნიუსის ოფისი ლიტვიდან სამშობლოში დაბრუნებაში დაეხმარა 2000-ზე მეტ მიგრანტს.

ერთ-ერთი ჩვენი პროექტი არის **ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა (AVR)** ლიტვაში მცხოვრები უცხოელებისათვის.

რა არის AVR?

ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა (AVR) არის IOM-ის დახმარებით ლიტვაში მყოფი მესამე ქვეყნების მოქალაქეების დაბრუნება თავიანთი წარმომავლობის ქვეყნებში. დახმარება მოიცავს:

- მგზავრობის ორგანიზებას (ბილეთების დაჯავშნა, ბარგის წონის მაღალი ლიმიტი);
- სამგზავრო დოკუმენტების მიღებაში დახმარებას;
- მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფას მგზავრობის წინ ან მგზავრობის დროს;
- ტრანზიტის და (საჭიროების შემთხვევაში) დახვედრის დახმარებას;
- დამატებით მომსახურებას ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით;
- დაბრუნების შემწეობას.

მთელი მსო-ს დახმარება არის უფასო.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ თქვენი დახმარება?

IOM-ს შეუძლია თქვენ დაგეხმაროთ სახლში დაბრუნებაში, თუ:

- დასრულდა თქვენი ვიზის მოქმედების ვადა;
- არალეგალურად ცხოვრობთ ლიტვაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოხვედით ლეგალურად;
- ხართ თავშესაფრის მაძიებელი.

თუ არ ხართ დარწმუნებული, გეკუთვნით თუ არა პროექტში მონაწილეობა, დაგვირეკეთ უფასო ტელეფონის ნომერზე და საკონსულტაციოდ მიმართეთ IOM-ის თანამშრომლებს.

როგორ უნდა მიიღოთ მონაწილეობა AVR-ში?

შეავსეთ ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის განაცხადის ფორმა (ფორმას იპოვნით ინტერნეტ-მისამართზე www.returnhome.lt/anketa, ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ უფასო ტელეფონის ნომერზე 8 800 12 342, ელ-ფოსტაზე avr@iom.lt ან მობრძანდეთ ჩვენს ოფისში).

ფორმები
კონფიდენციალურია.

გამოაგზავნეთ შევსებული ფორმა ფოსტით,
ფაქსით, ელ-ფოსტით ან მოიტანეთ IOM-ის
ოფისში.

IOM-ის თანამშრომლები გაეცნობიან თქვენს
განაცხადს, დაგიკავშირდებიან და

გიპასუხებენ, რომ
დახმარება ვერ
მოგენიჭებათ

ან

დადასტურებენ
დახმარების
მინიჭებას



IOM იზრუნებს თქვენს სამგზავრო დოკუმენტებზე და მოაწესრიგებს სახლში დაბრუნების საკითხს (სპეციალური დახმარება გაეწევა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს).

გამგზავრების დღეს IOM-ის თანამშრომლები თქვენ დაგხვდებიან აეროპორტში ან სადგურში, გადმოგცემენ სამგზავრო ბილეთებს და გადაგიხდიან დაბრუნების შემწეობას.

სსახლში დაბრუნდებით ჩვეულებრივი წესით სხვა მგზავრებთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ან ჰუმანიტარულ ესკორტთან ერთად).



რატომ ღირს IOM-ის დახმარებით სარგებლობა?

- ▶ მარტივია: IOM დაგეხმარებათ მგზავრობის დაგეგმვასა და იურიდიულ პროცედურებში.
- ▶ ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნება: იმგზავრებთ როგორც ნებისმიერი სხვა მგზავრი.
- ▶ სასარგებლოა: სხვა დროს ვიზის ან ბინადრობის ნებართვის საკითხზე დაბრკოლებები არ შეგექმნებათ.

ყველას, ვინც IOM-ის დახმარებით სახლში
ნებაყოფლობით ბრუნდება, მიეცემა ფულადი შემწეობა.



„ყველა მიგრანტის ადამიანის უფლებათა პატივისცემა და ადეკვატური დახმარების გაწევა დაუცველ პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან სხვა ქვეყანაში, არის IOM-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.“

IOM-ის გენერალური დირექტორი უილიამ ლეისი სვინგი

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ

პირადად

IOM-ის ვილნიუსის ოფისში, Jakšto g. 12 (იაქშტო ქ.
12), მე-4 სართული, ვილნიუსი LT-01105, ლიტვა

ტელეფონით

8 800 12 342

ელექტრონული ფოსტით


avr@iom.lt

ინტერნეტით

www.returnhome.lt

www.iom.lt





International Organization for Migration (IOM)

მსო-ს ვილნიუსის ბიურო, Janksto g. 12 (იაქშტო ქ. 12), ვილნიუსი LT-01105
ტელ.: 8 800 12 342, ფაქსი: 8 5 261 13 26
ელ-ფოსტა avr@iom.lt, www.returnhome.lt, www.iom.lt



PMIF
Prieglobimo, migracijos
ir integracijos fondas

პროექტი „დღე - დაბრუნების დახმარება უცხოელზე“ ფინანსდება თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდის და ლრ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით.